

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის საქმიანობის პრიორიტეტებს, არსებული ორგანიზაციული, ოპერაციული, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და მასზე დელეგირებული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით 2013 წლისათვის წაერმოადგენს:

1. ინსტიტუციური განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია და ქვეყნის ინტერესების დაცვა (პროგრამების ადმინისტრირება და მართვა)
 2. იგპ-თა საყოფაცხოვრებო პირობების მონიტორინგი და გაუმჯობესების ხელშეწყობა;
 3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პროგრამების რეალიზების ხელშეწყობა
- მიზნის მისაღწევად წარმომადგენლობა თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- **იგპ-თა თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლების ხელშეწყობა,**
რაც გულისხმობს დახმარებაზე დამოკიდებულების შემცირებას, მათი დასაქმების ხელშეწყობის გზით

ფოკუსები

- კვლევა – რეგიონში არსებული ადამიანური რესურსები, მათ ხელთ არსებული წარმოების ძირითადი საშუალებები, საჭიროებები დასაქმების სფეროები.
 - დასაქმების სახელმწიფო პროგრამებში იგპ-თა ჩართვის ხელშეწყობა;
 - პროფესიული განათლების მიღებისა დაგადამზადების პროგრამებში იგპ-თა ჩართვის ხელშეწყობა;
 - იგპ-თათვის ხელმისაწვდომი საკრედიტო ხაზების მოძიება
- **საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა**
ფოკუსები

- კვლევა კომპაქტურ ცენტრებში განთავსებულ იგპ-თა საჭიროებები;
- კერძო სექტორში განთავსებულ იგპ-თა საჭიროებები
- პრივატიზირების პროცესი და იგპ-თა ინტერესები
- მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით წინადადებების შემუშავება და ლობირება შესაბამის სტრუქტურებში

▪ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ფოკუსები**

- ჯანდაცვის ფედერალური და მუნიციპალური პროგრამები;
- სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა;
- აფხაზეთის მთავრობის სოცპაკეტი და სხვა სოციალური პროგრამები;

პრიორიტეტების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობის მიერ შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

დასრულდა სამოქმედო რეგიონში დროებით განთავსებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ხელთ არსებული სასაოფლო სამეურნეო დანიშნულების სავარგულების აღწერის სამუშაოები. აღწერა მიზნად ისახავდა დევნილთა ჩართვის ხელშეწყობას სოფლის მეურნეობის აღორძინების სახელმწიფო პროგრამებში. ამ მიზნით დადგენილიყო სამოქმედო რეგიონში დევნილთა ფლობაში არსებული რესურსები სასაოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის და შექმნილიყო შესაბამისი საინფორმაციო ბაზა. აღწერის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეგიონში დევნილების მიერ მუშავდება დაახლოებით 100 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთები. თუმცა საკუთრების ფორმით მიწები გააჩნიათ მხოლოდ 5 მდე დევნილს. დანარჩენები მიწას ფლობენ იჯარით, თხოვრებით ან ამუშავებენ მიწის ნაკვეთებს, რომელთა მეპატრონე დაუდგენელია. აღწერის პროცესში გვქონდა შეხვედრები დევნილ მოსახლეობასთანაც მათი წინადადებების მოსმენისა და შესწავლის მიზნით, რის შედეგადაც გამოიკვეთა რამოდენიმე მუნიციპალიტეტში ამჟამად უსარგებლოდ არსებული მიწის ნაკვეთების დევნილებისათვის გადაცემის სურვილი. ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა სმტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაისის ყოფილ სასაოფლო სამეურნეო კოლექტში ჩასახლებული დევნილების მხრიდან. ჩსახლებიდან 2 კილომეტრში მდებარეობს ამჟამად უსარგებლოდ არსებული 9 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ჩაის პლანტაცია და მოუვლელობის გამო გაველურებულია. მოსახლეობა მზად არის თავისი რესურსებით გაასუფთავონ და დაამუშავონ მიწის აღნიშნული ნაკვეთი ან მოაწყონ კოლექტიური ფერმერული მეურნეობა. მსგავსი წინადადებები არის კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში მცხოვრები დევნილებიდანაც. წყალტუბოს რაიონის სოფ. გეგუთში ფუნქციონირებს სასათბურე მეურნეობა, რომელსაც გააჩნია გაფართოვების პერსპექტივა და სხვა. წარმომადგენლობის მიერ დაიწყო მუშაობა, აღნიშნული და სხვა წინადადებების რეალიზებისათვის სათანადო მოკვლევის ჩასატარებლად, რის საფუძველზეც მომზადდება კონკრეტული წინადადებები და წარედგინება შესაბამის სტრუქტურებს. უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ნაკვეთების გადაცემა ამჟამად არსებული კანონმდებლობით შეზღუდულია, ამიტომ მოსახლეობა ითხოვს დაშვებულ იქნას გამონაკლისები, რომელიც გააიოლებს მათთვის ნაკვეთების გადაცემის პირობებს.

თებერვლის ბოლოს სამსახურში შეიქმნა დასაქმების ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფი (ბ. ჭანტურია- ჯგუფის ხელ-ლი, წევრები ლ. გადილია, გ. ლეკვიშვილი, ლ. სახელაშვილი, ი. წიფიანი, ი. საჯაია, თ. ლემკაშელი), რომელიც მუდმივად მუშაობს

დევნილთა დასაქმების, მომზადება/გადამზადებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საჭიროებებზე. ეს ჯგუფი ასევე პერიოდულად განახლებს რეგიონში დევნილთა მიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფლობა-სარგებლობის შესახებ ინფორმაციებს; საანგარიშო პერიოდში ჯგუფმა სხადასხვა სახის დახმარება-კონსულტაცია გაუწია 30-მდე დევნილს. კერძოდ; დაეხმარა დასაქმებისათვის სააპლიკაციო ფორმებისა და რეზიუმეების შედგენაში, საერთაშორისო წითელ ჯვარში საგრანტო პროგრამისათვის ბიზნეს გეგმების შედგენაში, სხვადასხვა ტრენინგ-სემინარზე მონაწილეობისათვის ინფორმაციის დროულად მიღებაში. ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ ჯგუფისათვის შემუშავდა სამუშაო ინსტრუქცია.

სამოქმედო რეგიონში განთავსებულ იგპ-თა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან საკრედიტო და საგრანტო ასევე სხვა რესურსების მოძიებისა და მათზე ბენეფიციართა ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. ამ მხრივ ნაყოფიერი იყო ა/ო „აფხაზინთერკონტან“ თანამშრომლობით განხორციელებული პროექტები.

2012 წელის მიწურულსა და 2013 წლის დასაწყისისათვის ორგანიზაციამ განხორციელა პროექტი "დევნილი ახალგაზრდების ახალი ინიციატივები, მიდგომები და შესაძლებლობები", რომელიც ითვალისწინებდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი დასახლების ცენტრებში (ქ.ბათუმი, ფოთი და წყალტუბო) მცხოვრები 16 -დან 26 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, მათგან წამოსული ახალი ინიციატივებისა და ბიზნეს წინადადებების ხელშეწყობას, მდგრადი შემოსავლების გაზრდას და აქტიური ინტეგრაციას ადგილობრივ საზოგადოებაში.

პროექტის ფარგლებში დევნილთა ორ ახალ დასახლებაში (ქ.ბათუმი, წყალტუბო) გამოკითხვის და ინტერვიუების საშუალებით შეირჩა 4-4 მოტივირებული ახალგაზრდა (სულ 8), რომლებმაც გაიარეს პროფესიული გადამზადება ადგილობრივ ბიზნეს კომპანიებში. (კერძოდ: ქ.ბათუმი - შ.პ.ს "გაბო 2009" ; ქ.წყალტუბო - შ.პ.ს "ნოვა") - შემდეგ პროფესიებში: მღებავი, ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი და კაფელ-მეტლახის დამგები;

პროექტის ფარგლებში გადამზადებულ 8 ახალგაზრდას, ორგანიზაციამ გადასცა საჭირო კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო იარაღები და აღჭურვილობა. გადამზადებული ახალგაზრდების ნაწილმა (შვიდმა) მიიღო დასაქმების შეთავაზება ბიზნეს კომპანიებისაგან.

შემენილი პროფესიული უნარ-ჩვევები და საჭირო იარაღების საშუალებებით აღნიშნულ ბენეფიციარებს ხელი შეეწყო ახალი პროფესიის ათვისებაში, დასაქმებაში, გაიზარდა მათი ოჯახების შემოსავალი და გააუმჯობესდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ორგანიზაცია 2009 წლიდან ახორციელებს პროექტს " დევნილთა შემოსავლების გენერირება", რომლის ფარგლებში ორგანიზაცია ატარებს ტრენინგ სემინარებს და კონსულტირებას მიკრო და მცირე ბიზნესში, გასცემს მიკრო სესხებს 500 დან 2500 ლარის ფარგლებში, 1.0% თვის საპროცენტო განაკვეთით. 2013 წელს თექვსმეტმა ბენეფიციარმა გაიარა სწავლებები და მიიღო შეღავათიანი სესხები, რომლის საერთო მოცულობამ შეადგინა 35 050 ლარი.

2013 წლის მარტის თვიდან ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს "შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა მოწყვლადი ოჯახებისა და ინდივიდებისათვის დასავლეთ საქართველოში რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი და სამეგრელოს რეგიონში".

პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი და დევნილი შეჭირვებული მოსახლეობის დასაქმებას, პროფესიულ გადამზადებას. პროექტის ფარგლებში უკვე გადამზადებულ იქნა 3 მეფუტკრე, 3 დურგალი, 2 სილამაზის სალონი, 2 მცირე მექანიზაციის პაკეტი, 6 მეფრინველეობის პაკეტი. ყველა ბენეფიციარს გადაეცათ შრომის იარაღები და აღჭურვილობა, რაც მისცემს საშუალებას, დაიწყო ან გააძლიერონ ოჯახური და მცირე ბიზნესი. ასე მაგალითად, თითო მეფუტკრე ოჯახს გადაეცათ 6 ფუტკრის სკა, სათანადო აღჭურვილობა და ინსტრუმენტი. დურგლებს გადაეცათ შრომის იარაღები - სადურგლო პაკეტი. მეფრინველეებს 150 ერთ თვიანი წიწილები, საკვები, მავთულ ბადე და სხვა ინვენტარი.

4. ორგანიზაციამ მიმდინარე წლის იანვრიდან დაიწყო პროექტის „იმერეთის რეგიონში მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობის შესაძლებლობების და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება, თვითდასაქმებასა და სოციალურ-ეკონომიურ ინტეგრაციაში ხელშეწყობა“ განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სფეროში სოციალურ საწარმოს შექმნას, ყოველწლიურად ორი დევნილი ოჯახის სწავლებას სასოფლო სამეურნეო ახალ ტექნოლოგიებში, მეწარმის უნარჩვევების ათვისებას, დასაქმებას აღნიშნულ საწარმოში, შემდგომ მათვის მიკრო სათბურის აგებას (70-100მ²) და გადაცემას საკუთრებაში.

მიმდინარე წლის სექტემბერში, ორგანიზაციამ დაიწყო პროექტის „დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობის სასოფლო - სამეურნეო და ინვესტირებისათვის საჭირო ცნობიერების განვითარება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა“. განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციის სოციალურ საწარმოს ბაზაზე შემდეგი კომპონენტების და საქმიანობების განხორციელებას:

✓ ქ. ქუთაისის დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობის შესაძლებლობების გამოვლენა, მათი დაინტერესებისა და მოტივაციის გაზრდა სასოფლო/სამეურნეო სფეროსადმი - სწორ პროფორიენტაციაში ხელშეწყობა;

✓ მოსწავლე-ახალგაზრდებში ეკო-კულტურის დამკვიდრება, მათი ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული კულტურების მოყვანის მნიშვნელობაზე მცირე სასათბურე მეურნეობაში;

✓ დევნილი მოსწავლეების ინიციატივების მხარდაჭერა, თეორიული მასალების ათვისება და მათი პრაქტიკული ჩართულობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში.

✓ პროექტის მიზნობრივ სკოლებში სასათბურეების მოწყობა - აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (წვეთოვანი ტექნოლოგია) და გაძლიერება;

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით წარმომადგენლობა ცდილობს მსურველებს ხელი შეუწყოს პროფესიულ გადამზადებასა და სწავლებაში. საანგარიშო პერიოდში ქ. წყალტუბოდან 21-მა ახალგაზრდა დევნილმა გაიარა სწავლება ქ. ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ " იბერიაში" სამ თვიან სწავლებაზე არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით სპეციალობებზე:

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, დურგალი, ელექტრიკოსი, შემდუღებელი. შერჩევა განხორციელდა წარმომადგენლობასთან შეთანხმებით.

ნოემბრის თვეში ჩეხური საერთაშორისო ორგანიზაციის "ადამიანი გაჭირვებაში"(პინ) მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის, რომელიც ეხებოდა ს/ს კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და დაფინანსებისათვის ბიზნეს გეგმების წარდგენას, კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და ბიზნეს გეგმების შედგენა-წარდგენის საკითხებზე წარმომადგენლობამ უშუალო კონსულტაციები ჩაუტარა 10-მდე დამწყებ დევნილ მეწარმეს და გადასცა დამხმარე მასალები.

რეგიონში განთავსებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით წარმომადგენლობამ ჩაატარა მოკვლევა ორგანიზებულ და კერძო სექტორებში განთავსებულ იგპ-თა საჭიროებების გამოსავლენად. კერძოდ განხორციელდა წარმომადგენლობის ხელმძღვანელისა და შესაბამის რაიონზე მიმავრებული თანამშრომლების ვიზიტები ლენტეხის, ცაგერის, ვანის, ხონის, ამბროლაურის, ბაღდათის მუნიციპალიტეტებში. ასევე ადგილზე გასვლები განხორციელდა ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში არსებულ ობიექტებზე. შეხვედრებზე გამოიკვეთა რიგი პრობლემებისა, კერძოდ:

ლენტეხის მუნიციპალიტეტში– ყოფილი სკოლა ინტერნატის შენობაში განთავსებულია 8 დევნილი ოჯახი, რომლებიც ობიექტში განთავსდა ტურბაზის ავარიული შენობიდან გამოყვანის შემდეგ. ამჟამად ინტერნატის შენობა გადაცემულია საქართველოს საპატრიარქოსათვის და დევნილებს აინტერესებდათ სად დააკმაყოფილებდნენ საცხოვრებლით. აღინიშნა, რომ 2 ოჯახის გარდა სხვა ოჯახები თანახმა არიან შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. ობიექტში მათთან ერთად ცხოვრობს 13 ადგილობრივი ოჯახი, რომლებიც სტიქიით არიან დაზარალებულები. აღნიშნულის შესახებ მოსაზრებები გაუზიარეთ მინიციპალიტეტის გამგებელსაც. აღმოჩნდა, რომ რამოდენიმე დღით ადრე შეკითხვა გადაეგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დავნილთა და ლტოვილთა განსახლების მინისტრს. წარმომადგენლობამ შესაბამისი ინფორმაციები მიაწოდა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს. შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ყველა მსურველს შეევესო შესაბამისი კითხვრები, რომლებსაც განიხილავს სახელმწიფო კომისია და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

პრობლემები გამოიკვეთა ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში განთავსებულ დევნილებთან შეხვედრისასაც. ადგილზევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და მოსმენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით რაიონში სპეციალურად მივლინებულ იქნა წარმომადგენლობის დევნილებთან ურთიერთობის, სოციალურ საკითხთა და რეგიონული მართვის სამსახურის უფროსი და თანამშრომელი. ისინი შეხვდნენ დევნილებს, მოახსენეს გადაწყვეტილებები მათ მიერ გამოთქმულ პრობლემებზე.

ასევე შეხვდნენ გამგეობების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური და სამხედრო სამსახურების უფროსებსა და სამსახურების თანამშრომლებს. დასახულ იქნა ერთობლივი წინადადებები დევნილთა დახმარებისა და მომსახურების საკითხებში მეტი ეფექტიანობის მისაღწევად.

ცაგერში ასევე დაფიქსირდა დევნილთა პრობლემები მათი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პერსპექტივების თვალსაზრისით. პრობლემების გადასაწყვეტად სამინისტროდან დევნილებს აქვთ მხოლოდ ზეპირი შემოთავაზება სამტრედია, თერჯოლა, წყალტუბო, ზესტაფონი და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში.

ზემოთ დასახელებულ ყველა მუნიციპალიტეტში არსებული საყოფაცხოვრებო პრობლემები იდენტურია. მათ შორის აქტუალურობით გამოირჩევა იგპ-თა საცხოვრებელი ფართებით გრძელვადიანი უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის საკითხი, არარეაბილიტირებულ ობიექტებში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები (ამ კუთხით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა წყალტუბოს სანატორიუმებში, ასევე ქ. ქუთაისში ყოფილი მე11 ავტოკოლონის ადმინისტრაციულ კორპუსში და ტურბაზა „რიონში“, რეაბილიტირებულ ობიექტებში ჩასახლებული დევნილებისათვის გადაცემული ფართების დაკანონებისა და პოსტრეაბილიტაციური უწყესივრობების აღმოფხვრის საკითხები. წარმომადგენლობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაერთო პრობლემების გადაწყვეტის პროცესში. კერძოდ:

– წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიტირის ტერიტორიაზე ახალ აშენებული კოტეჯების დასახლებაში შეფერხდა საკანალიზაციო და სასმელი წყლების სისტემების გაყვანა-მონტაჟის პროცესი. წარმომადგენლობის ჩარევით წყალტუბოს გამგეობამ დაჩქარებული წესით დაასრულა შესაბამისი პროექტი, 10 აპრილიდან გამოაცხადა 20 დღიანი ტენდერი სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის გამოსავლენად. პროცესში ჩართული იყო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობაც. ამჟამად სამუშაოები დასრულებულია.

– დასრულებულია სახურავების სარემონტო სამუშაოები სან. „რკინიგზელში“, „გეოლოგში“, „წყალტუბოში“. მიმდინარეობს სახურავების რემონტი სან „საქართველოსა“ და „ფილიალში“.

სან „რკინიგზელსა“ და ახალ დასახლებაში შესაბამისად გამოიცვალა 150 და 1250 მ კაბელი და 400 და 88 კვ-იანი ელგადამრთველები.

– წარმომადგენლობის უშუალო ჩარევით ქვიტირის ყოფილ კემპინგებში აღდგენილ იქნა მწყობრიდან გამოსული საკანალიზაციო სისტემა.

– ქ. ქუთაისის ყოფილი №5 საბავშვო ბაღში მცხოვრებ დევნილებს გაეწიათ შუამდგომლობა ქელასის წინაშე და თანაგადახდის შეთანხმებით უმოკლეს ვადებში აღდგა ელექტროენერჯის მიწოდება. აქვე გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა რომელიც მწყობრიდან გამოვიდა წვიმების შედეგად.

– წარმომადგენლობის უშუალო ჩარევით წყალტუბოს ყველა სანატორიუმი, რომლებშიც კიდევ ცხოვრობენ დევნილი ოჯახები, დაერთდა ქალაქის ცენტრალურ, რეაბილიტირებულ წყლის მაგისტრალზე.

– ქ. ქუთაისში მდებარე ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული დევნილი ოჯახები ითხოვდნენ დახმარებას ობიექტის გაზიფიცირებისათვის. წარმომადგენლობა ლტოლვილთა და განსახლების

ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელობასთან ერთად შეხვედა "სოკარ ჯორჯიას" ადგილობრივი სერვისცენტრის ხელმძღვანელობას შესამღებლობების შესწავლის მიზნით. შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც მოსახლეობა ბანკი „კრედოს“ მეშვეობით აიღებდა შეღავათიან სესხს საცხოვრებელ ბინებში გაზის სისტემის მონტაჟისათვის, ანუ პრაქტიკულად მოხერხდა გაზის შეყვანისათვის საჭირო თანხების განვადებით დაფარვის მექანიზმის ამოქმედება. მოსახლეობის უმრავლესობისათვის ეს მექანიზმი მისაღები აღმოჩნდა.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მცხოვრებ დევნილს დავით გიორბელიძეს დაეწვა სახლი, რომელიც შეიძინა ე.წ. კომპენსაციით. წარმომადგენლობის შუამდგომლობით მას გაეწია მატერიალური დახმარება, როგორც აფხაზეთის ა.რ. ბიუჯეტიდან (500 ლარი) ასევე წყალტუბოს გამგეობიდან გამოეყო 1000 ლარი.
- კოპიტნარის სამხედრო დასახლების მე-9 კორპუსზე, 23 მარტის სტიქიის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა სახურავის 80%. წარმომადგენლობის მიერ დროულად იქნა იმფორმირებული შესაბამისი სამსახურები და სამთავრობო სტრუქტურები და გადახურვა უკვე დასრულებულია.
- კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში პრობლემატურია საკანალიზაციო სისტემის გამართული მუშაობის საკითხი. სიტუაციის გამოსწორებას ხელს უშლის რიგი სამართლებრივი კაზუსები. კერძოდ: დასახლების საცხოვრებელი კორპუსები გადაეცათ დევნილებს საკუთრებაში, მაგრამ ტერიტორია (შესაბამისად კომუნიკაციებიც), რომელზეც გაშენებულია საცხოვრებელი კორპუსები არის თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე, მასთან დევნილები რეგისტრირებულები არიან ქ. ქუთაისში, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულად ტერიტორია ეკუთვნის წყალტუბოს მუნიციპალიტეტს. ამ მიზეზების გამო ფერხდება პრობლემის გამოსწორებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება. დღეისათვის ჩამოთვლილი პრობლემებიდან მოგვარებულია მხოლოდ დევნილთა გადამისამართების საკითხი.
- ქ. ბათუმში, აფხაზეთის ქუჩაზე მდებარე ჩასახლებაში (ე.წ. ბენზეს დასახლება) მერიის შესაბამის სამსახურებთან შუამდგომლობით გადაწყდა ჩასახლებაში მცხოვრებ სკოლამდელი ასაკის ბავშვების საბავშვო ბაღებში განწესების საკითხი. კერძოდ: ისინი ჩაერიცხნენ გონიოს საბავშვო ბაღში, მათ მოემსახურება მიკრო ავტობუსი, რომელიც უზრუნველყოფს მათ გადაადგილებას ოჯახი-ბაღი-ოჯახის მიმართულებით.
- ქ. ბათუმში, ხახულისა და ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე რეაბილიტირებულ საცხოვრებელ კორპუსები არ არის გაზიფიცირებული, რადგან ოჯახებისათვის არ არის დაკანონებული მათთვის გადაცემული ფართები, ხოლო საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე გაზის კომპანია უარს აცხადებს მათ აბონენტად აყვანაზე. პრობლემის მოგვარების მიზნით წარმომადგენლობის ხელმძღვანელი შეხვედა კომპანია „სოკარჯორჯიას“ აწარის რეგიონალურ მენეჯერს, მიღწეულია შეთანხმება, რომ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გადაცემამდე თითოეულ ოჯახსე გაიცემა ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (გასცემს აღარის შესაბამისი სამსახურები), რაც საკმარისი იქნება კორპუსის გაზიფიცირებისათვის. სამუშაოების დაწყება ნავარაუდებია 2014 წლის 10 იანვრიდან.

წარმომადგენლობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის დევნილი მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების

მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ამოქმედდა საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, რიგი დაავადებების მქონე ადმიანებს მაინც ექმნებათ პრობლემები კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების საქმეში, რადგან ეს დაავადებები არ შედის სადაზღვეო პოლისით განსაზღვრულ ნოზოლოგიათა ჩამონათვალში. წარმომადგენლობა ცდილობს ისინი ჩაანაცვლოს აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობების სამედიცინო პროგრამებით. ასე მაგალითად:

- კოპიტნარის ს/დ მცხოვრებ 5 წლის ლინდა მოსიავას აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ აღმოუჩინა დახმარება ეხოკარდიოგრამის გადაღებაში;
- ქ. ბათუმში მცხოვრებ თეონა მანაგაძეს ბათუმის ბიუჯეტიდან დაუფინანსდა მშობიარობის ხარჯები;
- ბაღდადში მცხოვრებ დავით გუბელაძეს, რომელსაც მძიმე ქრონიკული დაავადების გამო ესაჭიროება ძვირადღირებული მედიკამენტები აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამით გაეწია ერთჯერადი დახმარება;
- ქუთაისში მცხოვრებ ნონა კვარაცხელიას ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქირურგიული მკურნალობისათვის გადაერიცხა ღირებულების 50%, რამაც 400 ლარი შეადგინა;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმომადგენლობასთან შეთანხმებით ბიუჯეტში გაითვალისწინა 5 დევნილი პაციენტის სამედიცინო მომსახურებისათვის თანადაფინანსების თანხები ყოველთვიურად. გამგეობის მიერ სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაეწია იძულებით გადადგილებულ პირს აფხაზეთიდან დროებით განსახლებულს. სან. "საქართველოში" ნინო სამაკაშვილს 1000 ლარის ოდენობით. სულ ასეთი დახმარება გაეწია 12 დევნილ მოქალაქეს. ხოლო მთლიანად პროგრამის ფარგლებში წალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ გასცა 7637 ლარი. გარდა არნიშნულისა 15 დევნილ ოჯახს გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება სულზე 300 ლარის ოდენობით.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით რიგი სოციალური დახმარებები გაეწიათ დევნილ ოჯახებს ასევე გურიის მუნიციპალიტეტების მიერ 9 დევნილ ოჯახს -შემის შესაძენად, 12 გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება, 2-ს კი სარიტუალო ხარჯებისათვის. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დახმარება გაუწია 7 ოჯახს, თითოეულს 150 ლარის ოდენობით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კომისიის მიერ განხილული იქნა 834 განცხადება, დაკმაყოფილდა 741, სხვადასხვა მიზეზით უარი ეთქვა 93 განმცხადებელს. იხ. ცხრილი №1.

**ერთჯერადი მატერიალური დახმარების განაწილების
ფინანსური მაჩვენებლები კატეგორიების მიხედვით**

| კატეგორიების დასახელება | ბენეფიციართა რაოდენობა | გაცემული თანხა (ლარი) |
|--|-----------------------------------|--------------------------------------|
| მე-2 მსოფლიო ომის ინვალიდები | 1 | 100 |
| I ჯგუფის ინვალიდები | 198 | 19800 |
| მარჩენალდაკარგული ოჯახები | 60 | 6000 |
| ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები | 196 | 19600 |
| დედ-მამით ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები | 5 | 500 |
| ოთხი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვების ოჯახები | 58 | 5800 |
| 100 წელს გადაცილებული მოხუცები | 0 | 0 |
| ბავშვობიდან ინვალიდები და უნარშეზღუდული ბავშვები | 133 | 13300 |
| სხვა | 90 | 9000 |
| სულ | 741 | 74100 |

2013 წლისათვის აუთვისებელი დარჩა 15 900 ლარი, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: სოციალური პაკეტით განსაზღვრულ რიგ კატეგორიებში ნავარაუდები იყო ბენეფიციართა რაოდენობის მატება, იკ-თა საცხოვრებლით გრძელვადიანი უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით განპირობებული შიდა მიგრაციისა და ასევე საცხოვრებელი ფართების განაწილებისას სოციალურად დაცველათათვის პრიორიტეტების მინიჭების გამო სათანადო საბუთების მოწესრიგების მოტივაციის ზრდის გათვალისწინებით. მაგალითად: 17 ბენეფიციართა გაიზარდა მარჩენალდაკარგულის კატეგორიის ბენეფიციართა რაოდენობა, 20-ით ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის სტატუსის მქონე, 10-ით მრავალშვილიანი, 16-ით ბავშვობიდან ინვალიდი და უნარშეზღუდული ბავშვების კატეგორია. 63-დან 90-მდე გაიზარდა კატეგორიის არ მქონე დახმარების მამიებელთა რიცხვიც. სამწუხაროდ 64 ბენეფიციარს უარი ეთქვა ამ მუხლით გათვალისწინებული თანხების ამოწურვის გამო.

ასევე განიხილებოდა კატეგორიის არ მქონე ბენეფიციარებისათვის გასაცემი თანხის 10%-დან 15-20 %-მდე ზრდის შესაძლებლობა, რაც ვერ განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში ტრადიციულად საახალწლო საჩუქრები გადაეცათ 4-დან 14 წლამდე ასაკის მოზაედებს. საჩუქრები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შუამდგომლობით გამოყო ა/ო "კეთილი სამორინელი საქართველოში". საჩუქრები მათი რაოდენობის გათვალისწინებით გადაეცათ კოპიტნარის ს/დ - 169; ლენტეხი - 36; ამბროლაური -26; ონი - 17; ბაღდათი - 31. ასევე რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს მიერ გადმოცემული ჰუმანიტარული ტვირთი გადაეცა ქ. ქუთაისში მცხოვრებ, 62 ნულიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვებს, მრავალშვილიანი და სოციალურად შეჭირვებული ოჯახებიდან. კოდორის ხეობის ადმინისტრაციის მიერ გაიცა ერთჯერადი დახმარება კოდორის ხეობის დევნილთა 60 ოჯახზე.

წარმომადგენლობა დიდ ყურადღებას უთმობს არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობას. საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ექსპერტის რანგში მონაწილეობა მიიღო ა/ო "აფხაზინტერკონტის" პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა დევნილი თემების ჩართულობის გააქტიურებას იგპ-თა საცხოვრებელი ფართებით გრძელვადიანი უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში. გამოიკვეთა, რომ დევნილი საზოგადოება სათანადოდ არ იყო ინფორმირებული პროგრამის მიმდინარეობის საკითხებზე. პერიოდულად ეწყობა საქმიანი შეხვედრები ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორცაა:

- ახალგაზრდაიურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი
თანამშრომლობისძირითადიმიმართულება -

სოციალურისექტორისკანონმდებლობა, დევნილთა უფასო სამართლებრივი კონსულტაციებისა და ადვოკატირების საკითხები (იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენისკუთხით - დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება და სხვ.);

- სამართლებრივი კონსულტაციების რ-ბა - 413
- მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტების რ-ობა - 54
- სასამართლო საქმეების რ-ბა - 1

- ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი
ბიზნესკონსულტაციები მიიღო 7-მა დევნილმა დამწყებმა მეწარმემ.

წარმომადგენლობის სამსახურების მიერ 9 თვეში სამოქმედო რეგიონში სათანადო დახმარება და კონსულტაცია (უმუშაოდ სამსახურის, მისი განყოფილებისა და სამსახურის თანამშრომელთა რეგიონულ ოფისებში, ჩასახლებების ობიექტებში გასვლების დროს და ასევე სატელეფონო) გაეწია 1500-ზე მეტ დევნილს სხვადასხვა საკითხებზე, კერძოდ:

- პირადი საბუთების აღდგენა-მოწესრიგება, პიროვნების იდენტიფიკაცია და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა;
- პირადობის მოწმობებში მუდმივი საცხოვრებელი მისამართის უზუსტობების გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა ოჯახის ყველა წევრთა დოკუმენტებში;

- ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის მოქმედებაზე (აღიარება, გაყალბებული დოკუმენტაციების გასწორება და სხვ.);
 - სამუშაო სტაჟის აღდგენა;
 - სოციალური საკითხები (ე. წ. "სიღარიბის" პროგრამაში მონაწილეობა და მინიჭებული ქულების გასაჩივრების პროცედურები;
 - პოლისის მიღება-სარგებლობა და მასთან დაკავშირებული საგარანტიო წერილები;
 - სიღარიბის პროგრამითა და საყოველთაო დაზღვევით მომსახურება (ექიმთან მიღება-კონსულტაცია, თერაპია, ქირურგიული მკურნალობა; სოციალური შეღავათები და გარანტიები);
 - საყოფაცხოვრებო და კომუნალურ საკითხებზე,
 - სხვადასხვა დოკუმენტების (დაბადების, პირადობის, ქორწინების, განქორწინების და სხვ.) აღდგენა-რეგისტრაციაზე;
 - საპატიმროებში მყოფ დევნილთა დოკუმენტაციების აღდგენა-მოწესრიგება.
 - ცნობების მომზადება და გაცემა მუდმივი და დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ;
 - ომის ვეტერანის სტატუსის მინიჭების საკითხები და მასთან დაკავშირებული გარანტიები და შეღავათები;
 - ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიღების წესი და პროცედურები;
 - საპენსიო საქმეები (ასაკობრივი პენსია და დანამატი, სამხედრო კომპენსაცია, შეჩერებული პენსიის პრობლემების მოგვარება, საპენსიო საქმეების გადამისამართება;
 - საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ დევნილთათვის შეჩერებული შემწეობისა და პენსიების მიღების დარეგულირება და სხვ.);
 - საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საელჩოებში სამშობლოში უკან დასაბრუნებელი მოწმობების მიღებისათვის წარმომადგენლობის შესაბამისი კომისიის დასკვნების მიღება);
- სამსახურის უფროსი და თანამშრომლები კვარტლის განმავლობაში აქტიურად საქმიანობდნენ წარმომადგენლობის აფხაზეთის ა/რ-ის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მქონე) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და როგორც აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობაში. 2013 წელს მიღებულ იქნა 280 განცხადება, გაიცა 232 დადებითი დასკვნა, ფოტოიდენტურობის დასტური და ცნობა მუდმივი საცხოვრებლის შესახებ. ადმინისტრაციული საქმისწარმოებაშია 12, უარი - 6, შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება 9, განუხილველია 17. განმეორებითი დასვნა გაიცა 15 ადამიანზე. გაიცა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის 285-მდე ცნობა), სასამართლო დავითა და მორიგებით გადაწყდა 3.

- დამუშავდა შემოსული კორესპონდენციების სრს აფხაზეთის სამსახურიდან 56,
- გაიგზავნა კორესპონდენციები სრს აფხაზეთის სამსახურზე 67, სასამართლოში 4.

2013 წელს წარმომადგენლობის სამხედრო სამსახურის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის გეგმა დავალება შესრულდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ქუთაისი 2013 წელი